სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

23/07/2026

MES 3 26 0000965028

ბრძანება

თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის დაწესების და პრემიის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „ჟ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის (N962385, 22.07.2026.) სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაწესდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემია (შემდგომში - პრემია) **მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის**;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემიის **მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის** მინიჭების წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაციის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს სამოტივაციო წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამენიერო დეპარტამენტის სპეციალისტი - ქეთევან გორგაძე;
8. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
9. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

ელექტრონული მფლობელობა

დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 23 ივლისის №965028 ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემიის კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის

კონკურსის წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომი - ფონდი) ახალგაზრდა მეცნიერებისათვის აწესებს პრემიას (შემდგომში - პრემია) მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისთვის.
2. წინამდებარე კონკურსის წესი და პირობები (შემდგომში - პირობები) განსაზღვრავს ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის - სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემიის კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის (შემდგომში - კონკურსი) - გამართვის, საკონკურსო განაცხადების მიღებისა და შეფასების, გამარჯვებულის გამოვლენისა და პრემიის გაცემის წესს.
3. კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი, აკადემიური და საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში მიღწეული წარმატებული და გამორჩეული შედეგების აღიარება და წახალისება, ასევე შესაბამისი სამეცნიერო დარგების განვითარების ხელშეწყობა.
4. კონკურსის მისიაა საქართველოში მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კარიერის განვითარების, პროფესიული მოტივაციის ამაღლებისა და საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტერესის გაზრდის ხელშეწყობა მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართ.
5. კონკურსის ეფექტურობის გაზრდისა და მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით, ფონდი უზრუნველყოფს წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერთა საქმიანობის გაშუქებას ფონდის ვებგვერდის, სოციალური ქსელების, ინტერნეტისა და რადიო-ტელემედიის საშუალებით. ასევე, ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას სამეცნიერო ფესტივალსა და მეცნიერების პოპულარიზაციის სხვა ღონისძიებებში, რაც გაზრდის ახალგაზრდა მეცნიერთა მოტივაციას, ხელს შეუწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას სამეცნიერო-საზოგადოებრივ საქმიანობაში, გააძლიერებს მათ ცნობადობას და ფართო საზოგადოების ცნობიერებას მეცნიერების მნიშვნელობისა და ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა მიღწევების შესახებ.
6. კონკურსი ითვალისწინებს, ღია კონკურსის წესით, ერთჯერადი პრემიით ახალგაზრდა მეცნიერის დაჯილდოებას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ახალგაზრდა მეცნიერი - საქართველოს მოქალაქე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე (2026 წლის 23 ივლისამდე) ბოლო 7 წლის განმავლობაში და საქართველოში ეწევა სამეცნიერო-კვლევით ან აკადემიურ საქმიანობას.

ბ) გენერალური დირექტორი - ფონდის გენერალური დირექტორი;

გ) დამოუკიდებელი ექსპერტი - პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აფასებს კონკურსის ფარგლებში წარდგენილ საკონკურსო განაცხადებს;

დ) მიზნობრივი ანგარიში - ახალგაზრდა მეცნიერის მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიში;

ე) პრემია - ახალგაზრდა მეცნიერის მიერ კონკურსის შედეგად მოპოვებული ანაზღაურება;

ვ) საკონკურსო განაცხადი - პრემიის მოპოვების მიზნით, ამ წესით განსაზღვრული პირობების მიხედვით ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;

ზ) საკონკურსო კომისია - კონკურსზე დარეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების შემფასებელი კოლეგიალური ორგანო, რომელიც განიხილავს და აფასებს კონკურსში შემოსულ საკონკურსო განაცხადებს შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად და ავლენს გამარჯვებულებს;

თ) ფონდი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

ი) შეფასების კრიტერიუმები - ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად საკონკურსო კომისიისთვის განსაზღვრული, ამ წესით დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო ქულების მითითებით.

მუხლი 3. პრემიის მინიჭების სამეცნიერო მიმართულებები და ოდენობა

1. კონკურსში საკონკურსო განაცხადების წარდგენა შესაძლებელია შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში:

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები;

გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;

დ) აგრარული მეცნიერებები;

ე) სოციალური მეცნიერებები;

ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები.

2. თითოეულ მიმართულებაში გაიცემა ორი პრემია.

3. ერთი პრემიის ოდენობა შეადგენს 6 250 ლარს.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე (2026 წლის 23 ივლისამდე) ბოლო 7 წლის განმავლობაში და საქართველოში ეწევა სამეცნიერო-კვლევით ან აკადემიურ საქმიანობას.
2. საკონკურსო განაცხადს წარადგენს თავად პრემიის კანდიდატი - ახალგაზრდა მეცნიერი.
3. კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს ახალგაზრდა მეცნიერს, რომელსაც უკვე მინიჭებული აქვს ფონდის პრემია ახალგაზრდა მეცნიერებისათვის მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის.
4. კონკურსის პრემია ახალგაზრდა მეცნიერს მიენიჭება, კონკურსის გამოცხადებამდე ***ბოლო სამი წლის*** განმავლობაში, მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის.
5. სასურველია, კონკურსში მონაწილეობის მსურველ ახალგაზრდა მეცნიერს ჰქონდეს მინიმუმ ერთი გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომი მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემაში, ან გამოქვეყნებული მონოგრაფია.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი და საკონკურსო დოკუმენტაცია

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად, შემდეგი ფორმით:
   ა) საკონკურსო განაცხადის ელექტრონული რეგისტრაცია - 2026 წლის 23 ივლისიდან - 13 აგვისტოს 18:00 საათამდე;
   ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - 2026 წლის 18 აგვისტოს 18:00 საათამდე.
2. **ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვასა და გადაგზავნას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:
   ა) **ახალგაზრდა მეცნიერის რეგისტრაცია** - GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ შექმნა, ბიოგრაფიული მონაცემების შევსება, სამეცნიერო-კვლევითი ან აკადემიური საქმიანობის შესახებ ცნობისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ატვირთვა (დიპლომი, სერთიფიკატი და ა.შ.); თუ დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია უცხოეთში, მას თან უნდა ახლდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;
   ბ) **საკონკურსო განაცხადის რეგისტრაცია** - კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსება და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვა GMUS-ის შესაბამის ველებში და საკონკურსო განაცხადის გადაგზავნა (ე.წ. Submit);
3. კონკურსში მონაწილეობისათვის ახალგაზრდა მეცნიერი, გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge) ელექტრონულად არეგისტრირებს საკონკურსო განაცხადს, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:
   ა) კრებსითი ინფორმაცია (დანართი №2, ივსება GMUS-ში საკონკურსო განაცხადის რეგისტრაციის დროს);
   ბ) სამოტივაციო წერილი (დანართი №3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით);
   გ) პროფესიული ბიოგრაფია ქართულ ენაზე (დანართი №4, გენერირდება გრანტების მართვის ერთიანი სისტემიდან და იტვირთება საკონკურსო განაცხადის რეგისტრაციის დროს PDF დოკუმენტის ფორმით); პროფესიულ ბიოგრაფიაში ინფორმაცია სამეცნიერო პროდუქტიულობის შესახებ *(პუბლიკაციები, სამეცნიერო ღონისძიებები, პატენტები და სხვ.)* წარმოდგენილი **უნდა** იყოს **გამოქვეყნების ენაზე ქართულ თარგმანთან** ერთად.
   დ) დამატებითი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში - სერტიფიკატი, ჯილდო, პრიზი, პატენტი და სხვა - იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით);
   ე) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი - იტვირთება „მეცნიერის პროფილში“;
   ვ) ცნობა სამეცნიერო-კვლევითი ან აკადემიური საქმიანობის შესახებ, 2026 წლის მდგომარეობით - იტვირთება „მეცნიერის პროფილში“.
4. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების მატერიალური ფორმით წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში 2026 წლის 18 აგვისტოს 18:00 საათამდე (კონკურსის პირობების მე-5 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად).
5. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, დამტკიცებული ფორმებისა და ვადების დაცვით.
6. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, ახალგაზრდა მეცნიერმა უნდა წარმოადგინოს მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება პრემიის თანხა.
7. ახალგაზრდა მეცნიერი პასუხისმგებელია, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია, არ შეიცავს ყალბ მონაცემებსა და პლაგიატის ელემენტებს.

8. ვადის დარღვევის, ყალბი ან/და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში პრემიაზე წარდგენილი საკონკურსო განაცხადი არ განიხილება.

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი.
2. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

   ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - 23 ივლისი;

   ბ) ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე;

   გ) საკონკურსო განაცხადების ელექტრონული რეგისტრაცია - 23 ივლისი -13 აგვისტო;

   დ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო ვადა - 18 აგვისტო;

   ე) საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა (ტექნიკური ექსპერტიზა) - აგვისტო-სექტემბერი;

   ვ) შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების მოხსნის შესახებ - სექტემბერი;

   ზ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ და გამარჯვებულების გამოვლენა - სექტემბერი-ნოემბერი;

   თ) გამარჯვებული საკონკურსო განაცხადების დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ და კონკურსის შედეგების საჯარო გამოცხადება ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - სექტემბერი-ნოემბერი.

მუხლი 7. პრემიების გადაცემის პროცედურა

გამარჯვებული კანდიდატისათვის პრემია გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, კონკურსის პირობების მე-3 მუხლში მითითებული მიმართულებებისა და ოდენობის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით არსებული ყველა შესაბამისი გადასახად(ებ)ის გათვალისწინებით.

მუხლი 8. საკონკურსო განაცხადების შეფასება

1. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის საკონკურსო კომისიას და განსაზღვრავს მისი მუშაობის წესს.
2. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტი.
3. შეფასება ხორციელდება საკონკურსო კომისიის მიერ ამ წესის მე-10 მუხლით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით.
4. საკონკურსო კომისია განიხილავს და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად აფასებს კონკურსში შემოსულ საკონკურსო განაცხადებს, თითოეულ სამეცნიერო მიმართულებაში წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადებისათვის ადგენს რანჟირებულ სიებს და ავლენს გამარჯვებულ ახალგაზრდა მეცნიერებს.
5. გენერალური დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულებს.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი იყოს ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებისა და დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს საკონკურსო კომისიის წევრი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის მონაწილეებთან ან მონაწილეობდა მათთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს უშუალო პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ საკონკურსო დოკუმენტაცია ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილის ნათესავია; პროექტში მონაწილის წარმომადგენელია; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს შესაბამისი საკონკურსო კომისიის წევრის მიერ გაკეთებულ შეფასების გაუქმების შესახებ.

მუხლი 10. საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები

1. საკონკურსო განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

ბ) თითოეული კრიტერიუმი (1,2,3) ფასდება მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულით.

გ) სამივე კრიტერიუმისათვის მინიმალური შესაძლო ჯამური შეფასებაა 3, მაქსიმალური -15 ქულა.

დ) თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ საკონკურსო განაცხადს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდეგ მეორე და მესამე კრიტერიუმებში.

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	1	2	3	4	5	მინიმუმ 1 ქულა მაქსიმუმ 5 ქულა
(სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი, შედეგები და მიღწევები - კვლევითი თემატიკის სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა; ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები; სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა; საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა; საერთაშორისო/ეროვნული ჯილდოები, პრიზები, სტიპენდიები, პროფესიული წევრობა და სხვა სამეცნიერო მიღწევები)						
2. აკადემიური საქმიანობა	1	2	3	4	5	მინიმუმ 1 ქულა მაქსიმუმ 5 ქულა
(აკადემიური და საგანმანათლებლო საქმიანობა - კურიკულუმებისა და ახალი სასწავლო კურსების						

მომზადება; საბაკალავრო, სამაგისტრო (და არსებობის შემთხვევაში სადოქტორო) ნაშრომების ხელმძღვანელობა; რეცენზირება; სახელმძღვანელოების, დამხმარე სასწავლო რესურსებისა და სხვა საგანმანათლებლო მასალების მომზადება; საერთაშორისო და ეროვნულ საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა და სხვა)						
3. საზოგადოებრივი აქტივობები	1	2	3	4	5	მინიმუმ 1 ქულა მაქსიმუმ 5 ქულა
(ახალგაზრდა მეცნიერის როლი მეცნიერების პოპულარიზაციასა და დარგის განვითარებაში - მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები (საჯარო და სამეცნიერო-პოპულარული ლექციები, სამეცნიერო/შემეცნებით სატელევიზიო და რადიო გადაცემებში მონაწილეობა და სხვა); საზოგადოებრივი და მოხალისეობრივი საქმიანობა, რომელიც ემსახურება დარგის განვითარებას)						
შემაჯამებელი კომენტარი						

ე) შემაჯამებელი შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს კრიტერიუმების 5-ქულიანი (1-5) სისტემით შეფასებასთან და განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	**შეფასება**	**განმარტება**
1	სუსტი	საკონკურსო განაცხადი არაადეკვატურად პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს, გართულებულია შეფასება არასაკმარისი, ბუნდოვანი ან შეუსაბამო ინფორმაციის გამო.
2	დამაკმაყოფილებელი	საკონკურსოა განაცხადი ზოგადად პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები.
3	კარგი	საკონკურსო განაცხადი კარგად პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს, მაგრამ აქვს გარკვეული ხარვეზები და საჭიროებს გაუმჯობესებას.
4	ძალიან კარგი	საკონკურსო განაცხადი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს. გამოკვეთილია ორიგინალურობა და სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
5	საუკეთესო	საკონკურსო განაცხადი საუკეთესოდ პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს, შეიძლება არსებობდეს უმნიშვნელო ერთეული შენიშვნები, რომლებიც არ ეხება სამეცნიერო პოტენციალს.

დანართი №2
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 23 ივლისის №965028 ბრძანებით

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია საკონკურსო განაცხადის შესახებ

I გვერდი
ზოგადი ინფორმაცია

ახალგაზრდა მეცნიერი		
1	პირადი ნომერი	
2	სახელი, გვარი	
3	დაბადების თარიღი	
4	სქესი	
5	აკადემიური ხარისხი	
6	ელ.ფოსტა	
7	ტელეფონი	
8	სამოტივაციო წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
9	პროფესიული ბიოგრაფია	PDF ფაილის ატვირთვა
10	სამეცნიერო პროდუქტიულობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები	PDF ფაილის ატვირთვა
სამეცნიერო მიმართულებები		
11	ძირითადი მიმართულება	
	ქვემიმართულება, კატეგორია	
	1	
	2	
	3	

დანართი №3
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 23 ივლისის №965028 ბრძანებით

სამოტივაციო წერილი

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

(სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი, შედეგები და მიღწევები - კვლევითი თემატიკის სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა; ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები; სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა; საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა; საერთაშორისო/ეროვნული ჯილდოები, პრიზები, სტიპენდიები, პროფესიული წევრობა და სხვა სამეცნიერო მიღწევები)

2. აკადემიური საქმიანობა

(აკადემიური და საგანმანათლებლო საქმიანობა - კურიკულუმებისა და ახალი სასწავლო კურსების მომზადება; საბაკალავრო, სამაგისტრო (და არსებობის შემთხვევაში სადოქტორო) ნაშრომების ხელმძღვანელობა; რეცენზირება; სახელმძღვანელოების, დამხმარე სასწავლო რესურსებისა და სხვა საგანმანათლებლო მასალების მომზადება; საერთაშორისო და ეროვნულ საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა და სხვა)

3. საზოგადოებრივი აქტივობები

(ახალგაზრდა მეცნიერის როლი მეცნიერების პოპულარიზაციასა და დარგის განვითარებაში - მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები (საჯარო და სამეცნიერო-პოპულარული ლექციები, სამეცნიერო/შემეცნებით სატელევიზიო და რადიო გადაცემებში მონაწილეობა და სხვა); საზოგადოებრივი და მოხალისეობრივი საქმიანობა, რომელიც ემსახურება დარგის განვითარებას)

4. დამატებითი ინფორმაცია

(საჭიროების შემთხვევაში, მიუთითეთ ინფორმაცია ან ბმულები, რომლებიც ხელს შეუწყობს წარმოდგენილი მონაცემების გადამოწმებას ან დაზუსტებას)

პირადი ინფორმაცია

პირადი ნომერი:

სრული სახელი:

სქესი:

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ.ფოსტა:

მობილურის ნომერი:

ქვეყანა:

ქალაქი:

მისამართი:

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:

მინიჭების თარიღი:

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დონორი

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:

ქვე-მიმართულება:

კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

#	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

RA-26
სარეგისტრაციო
შიფრი

დანართი №5
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 23 ივლისის №965028 ბრძანებით
გენერირდება GMUS-დან

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემიის კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის
კონკურსში მონაწილეობის შესახებ

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო განაცხადის შესახებ, ვადასტურებ, რომ გავეცანი სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 23 ივლისის №965028 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის წესსა და პირობებს და ხელმოწერით ვაცხადებ თანხმობას, რომ მონაწილეობა მივიღო კონკურსში, დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადისთვის წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ახალგაზრდა მეცნიერი ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს საკონკურსო განაცხადის შესაბამისობა კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან, ასევე, წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, მოხსნას წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი კონკურსიდან.

ასევე თანახმა ვარ, რომ კონკურსის მიზნებისთვის ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ფონდის მიერ.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი „სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემიის კონკურსში ახალგაზრდა მეცნიერებისათვის მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის“.

ახალგაზრდა მეცნიერი

ახალგაზრდა მეცნიერის სახელი და გვარი	
პირადი ნომერი	
ელექტრონული ფოსტა	
ტელეფონის ნომერი	
ხელმოწერა	